ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173071141**

თარიღი: **03.11.2017**

ადრესატი:
ლაშა ბრეგვაძე
პირადი ნომერი: 01017006098
მისამართი: თბილისი ს.ჭიაურელის ქ. N 14

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ 2017 წლის 28 ივნისს შეტანილ იქნა ცვლილება (N1117-IIს) და დამატებულ იქნა 103^2 მუხლი. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალდამრღვევი სუბიექტი, რომელმაც 2007 წლის 1 იანვრიდან ამ მუხლის ამოქმედების დროისათვის სანებართვო პირობების დარღვევით ან უნებართვოდ განახორციელა მშენებლობადამთავრებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოები, შენობა-ნაგებობების, მზიდი კონსტრუქციების, ექსტერირერის რეკონსტრუქცია ან 2015 წლის 20 აპრილის მდგომარეობით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს წერილობითი დასტურის დარღვევით განახორციელა შენობა-ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები (შენობა-ნაგებობის სახურავზე კეხის სიმაღლისა და ქანობის შეუცვლელად სამერცხლის მოწყობა და ქანობზე ღიობის/ღიობების გამოჭრა), რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს ან/და რომლებიც არ ცვლის შენობა ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, თავისუფლდება ჯარიმის/საურავის თანხის ან/და მისი გადაუხდელი ნაწილის გადახდისაგან და ამ კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ჩადენილი სამშენებლო სამართალდარღვევა ამ მუხლის ამოქმედების დროისათვის გამოსწორებულია ან თუ ეს სამშენებლო სამართალდარღვევა გამოსწორდება ან მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დადასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში. მე-2 ნაწილის თანახმად, შენობა-ნაგებობის (ობიექტის) ან მისი ნაწილის მესაკუთრე ან სხვა უფლებამოსილი პირი ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამ კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოთხოვნით და დარღვევით განხორციელებული მშენებლობის დასადასტურებლად მიმართავს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს ამ მუხლის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში. მე-3 ნაწილის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დარღვევით განხორციელებული სამუშაოების დადასტურება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას.

ზემოაღნიშნული ცვლილებით, იმ პირების მიმართ, რომელთაც მშენებლობადამთავრებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განახორციელეს სამშენებლო სამუშაოები, ამოქმედდა საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეუძლიათ, მიმართონ უფლებამოსილ ორგანოს განხორციელებული სამუშაოების დადასტურების მოთხოვნით.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 103^2-ე მუხლით გათვალისწინებული 1 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ, სამშენებლო სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში, სამსახური იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილე მიხეილ მაღლაკელიძე